

ლანდშაფტის კრიტიკული მდგომარეობა, როგორც საბაზი ტერიტორიის “დაცული ლანდშაფტის” სტატუსის მისანიჭებლად.

ნელი ჯამასპაშვილი ^ა N.N. Beruchashvili, L. Beruchashvili

^აელ-ფოსტა: neli.jamaspashvili@tsu.ge

^ა გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

დაცულ ტერიტორიებს თვალსაჩინო ადგილი უკავია ლანდშაფტის ტერიტორიულ ორგანიზაციასა და დაგეგმარებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლანდშაფტების დაცვას.

კვლევის პროცესში რეგიონში სხვადასხვა ექსპედიციების გამოკვლევების დროს აღწერილი იქნა დაახლოებით 300 ექსპერიმენტალური ნაკვეთი, რომლებიც განლაგებულია რეგიონის პრაქტიკულად ლანდშაფტის ყველა გვარსა და სახეში.

შეიქმნა მცირე კავკასიონისა და მიმდებარე ტერიტორიის 29 მდინარის აუზისათვის გეოინფორმაციული სისტემები. თითოეული აუზისათვის შეიქმნა გეოინფორმაციული მონაცემთა ბანკი, რომელიც შეიცავს: პოლიგონის სახელწოდებას და ნომერს ლანდშაფტთა გვარებისა და სახეების მიხედვით, მდინარეთა და მათი შენაკადების სახელწოდებებს, ბტკ-ის ვერტიკალური სტრუქტურის ინდექსს, ბტკ-ს ინდექსს, ნიადაგ-ზედაპირული ფორმაციის ინდექსს, ანთროპოგენული ცვლილების ხარისხს და ა.შ. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებინა საკვლევი ტერიტორიის ლანდშაფტური მრავალფეროვნების ანალიზი და შეგვედგინა მთელი რიგი თემატური რუკები. კვლევის პროცესში განსაკუთრებით საინტერესოა ლანდშაფტთა “სიმჭიდროვის” განსაზღვრა. აგრეთვე, ჩატარდა ლანდშაფტური მრავალფეროვნების ანალიზი 10 წუთიანი გრადუსულ ბადის (18-11 კმ-ზე) მიხედვით.

კომპლექსური მიდგომის და გის-ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია 2 პოლიგონი, “დაცული ლანდშაფტის” სტატუსის მისანიჭებლად. ტერიტორიებისათვის, რომლებსაც შემოთავაზებულია მიეცეს “დაცული ლანდშაფტის” სტატუსი, მიეცა დეტალური ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება და ჩატარდა მათი ლანდშაფტური ანალიზი. მუშაობისას მიღებული თეორიული და მეთოდური შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს პერსპექტივაში ახალი მიმართულების - “კონსერვაციული გეოგრაფიის” დამუშავებისათვის.

ლიტერატურა

1. Beruchashvili N.L., Zjuchkova V.K. Methods for complex physical-geographical investigation: The Manuel. –Moscow University Press, 1997, 320p.
2. **Jamaspashvili N.** Landscapes diversity Central part of the Little Caucasus. Book «Biological and Landscape Diversity», WWF-WB, 2000, Tbilisi, pp.179-194 (in Russian- English).
3. **Jamaspashvili N., Maisuradze R., Seperteladze, Z., Beruchashvili N.N., Inashvili N., Khardziani T.** Book: Georgia Landscape Map and Geographic Information System. Shota Rustaveli National Science Foundation, TSU, Tbilisi, 2012, 488 p.
4. **Jamaspashvili N., L. Matchavariani, L. Beruchashvili, N.N. Beruchashvili, N. Paichadze.** ECOLOGICAL CORRIDORS AND SPATIAL ORGANIZATION FOR PROTECTED AREAS OF THE SMALL CAUCASUS, GEORGIA. BOOK 5, VOLUM I. ECOLOGY AND ENVIRONMENTAL PROTECTION, 2014, p. 221- 229 www.sgem.org
5. **N.Jamaspashvili, D. Nikolaishvili, N.N. Beruchashvili, L. Beruchashvili, M. Sharashenidze.** CLIMAT CHANGE IMPACTS ON THE FOREST LANDSCAPES OF CENTRAL PART OF SMALL CAUCASUS. BOOK 3, VOLUM II, SOOLS, *FOREST ECOSYSTEMS*, MARINE AND OCEAN ECOSYSTEMS, 2014, p. 331- 339 www.sgem.org